ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **114-1142232590**
თარიღი: **21/11/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის

თავმჯდომარეს ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდონ,

თქვენი 2022 წლის 1ნოემბრის წერილის N09-02-16/688 პასუხად გიგზავნით ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

დანართი:3 ფურცელი

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6200 ქალაქი ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზ. N141 ტელ: 0426 26 72 09
EMAIL: KOBULETIMUNICIPALITY@GMAIL.COM

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

GEORGIA
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ქობულეთის სატყეო ადმინისტრაცია
Foresty Administration of Kobuleti

ქ. ქობულეთი, ლესელიძის ქ. № 4
4 Leselidze str., Kobuleti

N 10/233
16/11/2022

233-10-2-202211161620

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ლევან ზოიძეს

ბატონო ლევან

თქვენი 2022 წლის 08 ნოემბრის N114-11422312134 წერილის პასუხად, რომელიც ეხება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრალურ და გარემოს დაცვის საკითხდა კომიტეტიდან წერილი, რომლის თემატური მოკვლევის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესწავლა. წარმოგიდგენთ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას.

1,რამდენად დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყე?

ტყეები დაცულია, აღკვეთილია ხე ტყის უკანონო ჭრები, მონიტორინგს ახაორციელებს შესაბამისი სატყეო ადმინისტრაციები.

2. რა ხელშემშლელი ფაქტორები არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ტყის სრულფასოვნად გამოყენებისთვის,მათ შორის,ტურისტული მიმართულებით გაძლიერების თვალსაზრისით? არ არის

3.როგორ შეაფასებდით ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების,ადგილობრივ თვითმმართველობების როლი ტყის შესაძლო აღდგენის, მათი ფუნქციური დატვირთვის გამრავალფეროვნების და გაჯანსაღების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით?

აჭარის სატყეო სააგენტოსში შემავალი სატყეო ადმინისტრაციები მონაწილეობას ღებულობს ტყის აღდგენა განახლებაში.

4.როგორ შეაფასებდით,ტყით პერსპექტივას მისი ფუქნციურად მრავალმხრივ დატვირთის კუთხით? დამაკმაყოფილებელი

5.როგორ შეაფასებდით სამოქმედო მენეჯმენტ გეგმის შემუშავების აუცილებლობას ტყის მოვლა-პატრონობის, შენახვის, განაშენიანებისა და მოხმარების პროცესში?

დამაკმაყოფილებელი

6.რა ძირითადი მიდგომები უნდა არსებობდეს ტყის დაცვის, მოვლის, აღდგენა-განაშენიანების და ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის დაგეგმვაში?

7.რა ინფორმაციას ფლობთ საერთაშორისო გამოცდილების ან/და ისეთი ინოვაციური მიდგომების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ტყის მოვლის და შენახვის პოპულარიცაზიის გაზრდას? ყოველ წლიურად მიმდინარეობს ბუნებრივი განახლების შეღობვა და აჩიჩქვნა.

8.ტყის დაავადებებთან ბრძოლის რა მეთოდები არსებობს? ქერქიჭამია ტიპოგრაფის განადგურებისა და ნაძვნარი კორომების,სანიტრული მდგომარეობის გაუმჯობესებით ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე,სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განთავსებული იქნა ფერომონიანი მწერსაჭერი, რომელთა მეშვეობით ამოღებული იქნა მავნე მწერი.

9. როგორ ხდება დაავადებული კორომების მოვლა და აღდგენა? გარდა ამისა ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანილი იქნა ფორმიკარუსი და ჩასახლდა ქერქიჭამიებით დასახლებულ ტყის უბნებში, რამაც სერიოზულად შეამცირა ამ მავნებლების რაოდენობა, მაგრამ ეს ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა და ამ ღონისძიებებთან ერთად საჭირო იყო ხმელი ხე-ტყის მოჭრა, გაქერქვა, ტყიდან გამოტანა, ნარჩენებისაგან ფართობის გაწმენდვა და შესაბამისად ტყის აღდგენის მიზნით ბუნებრივი განახლების ხელმშეწყობი ღონისძიებების გატარება.

10.რა ფორმით არის ინფორმირებული მოსახლეობა წითელი ნუსხის მცენარეების შესახებ და თუ ხდება მათი სათანადო დაცვა?

ადმინისტრაციის თანამშრომლები ახორციელებს გასვლით შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც დიალოგის რეჟიმში ხდება მოსახლეობის იმფორმირება როგორც სათბობი შეშით მომარაგებაზე,რომელიც გამოიყოფა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე ასევე, წითელი ნუსხის სახეობის მცენარეების სათანადო დაცვაზე.

პატივისცემით

მამია ცივაძე

დირექტორი
ქობულეთის სატყეო ადმინისტრაცია